სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/54

ქ. თბილისი 20 ოქტომბერი 2025

სტუ-ის მიერ საქართველოს თავდაცვის ძალებში დასაქმებულ პირთა და მათი ოჯახის წევრებისათვის სწავლის საფასურის გადასახადთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ვიცე რექტორის თამარ წერეთლის 2025 წლის 17 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2020 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული მემორანდუმის (№01-08-17/26-2020-4) ფარგლებში (რომელიც ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის ძალებში დასაქმებულ პირთა და მათი ოჯახის წევრების სამინისტროს მიერ სწავლის საფასურის დაფინანსებას 50%-ის ოდენობით), 2025-2026 სასწავლო წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული სიით გათვალისწინებულ პირებს გაეწიოთ შეღავათი და გათავისუფლდნენ სწავლის საფასურის დარჩენილი 50%-ის გადასახადისგან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**